საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2017 წლის 30 ივნისის

დადგენილება №2471

აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად

ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. 2017 წლის 5 ივლისს გამოცხადდეს ღია კონკურსი სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი) დასაკავებლად, 4 წლის ვადით;
2. დამტკიცდეს საკონკურსო პირობები და კონკურსზე წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა დანართის შესაბამისად;
3. საკონკურსო განცხადებების მიღება დაიწყოს 2017 წლის 5 აგვისტოდან და გაგრძელდეს 2017 წლის 11 აგვისტოს ჩათვლით, ყოველდღე (გარდა კვირა დღისა) 10:00-დან 17:00 საათამდე, შესაბამისი საკონკურსო კომისიის ტექნიკურ ჯგუფში;
4. კონკურსი ჩატარდეს 2017 წლის 12 აგვისტოდან 05 სექტემბრის ჩათვლით. საკონკურსო კომისიების მიერ კონკურსის შედეგები გამოქვეყნდეს არაუგვიანეს 2017 წლის 05 სექტემბრისა, შესაბამისი საკონკურსო კომისიის საინფორმაციო დაფასა და უნივერსიტეტის ვებგვერდზე:www.gtu.ge;
5. კონკურსი ჩატარდეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა და „აკადემიურ თანამდებობეზე კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ დებულების შესაბამისად;
6. კონკურსის გამოცხადების შესახებ ინფორმაცია განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე (www.gtu.ge) და გამოიკრას უნივერსიტეტის კორპუსებში თვალსაჩინო ადგილებში.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე